



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 14
01/02/2019

14-06-4-201902011622



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი ღურჯუმელიძის სამსახურებრივი მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თემთა მმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე მივლინებული იქნას ბორჯომის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ დაგეგმილ აღმასრულებელი საბჭოს XXXII სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად, 2019 წლის 2-3 თებერვალს.
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო